განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე
,,საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' ცვლილებების შეტანის შესახებ''

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება და მიღება დაკავშირებულია ქვეყნის წარმომადგენლობით ორგანოებში (საქართველოს პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში - საკრებულოებში) გენდერული თანასწორობის დაცვის ხელშეწყობასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის გაძლიერებასთან. როგორც საქართველოში უკანასკნელ წლებში ჩატარებული არჩევენების შედეგები მოწმობს, წარმომადგენლობით ორგანოებში ქალთა რაოდენობა მინიმალურია და ვერ ასახავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებულ მოთხოვნებს.

გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული მსგავსი დისბალანსი საფუძველს ქმნის, რომ საკანონმდებლო დონეზე მიღებული იქნეს ისეთი ნორმები, რომელიც ხელს შეუწყობს საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდასა და მსგავსი დისბალანსის დაძლევას. წარმომადგენლობით ორგანოებში გენდერული თანასწორობის დაცვის ხელშეწყობასა და პოლიტიკურ პროცესებში ქალთა ჩართულობის გაძლიერებასთან დაკავშირებით არაერთ საერთაშორისო აქტსა და რეკომენდაციაში არის მითითებული. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ''ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის თაობაზე'' (CEDAW) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, ''ქალთა პოლიტიკური უფლებების შესახებ'' გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (პარაგრაფი 13) (Paragraph 13 ofBeijing declaration and Platform of Action), გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია №25 (International Covenant on Civil and Political Rights and General Comment 25 of the UN Humanr Rights Committee).

ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული საერთაშორისო აქტები გენდერული თანასწორობის რეალური და ფაქტობრივი უზრუნველყოფის თვალსაზრისით დასაშვებად მიიჩნევს ცალკეული დროებითი ღონისძიების გატარებას. კერძოდ, ქალთა კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით ''მონაწილე სახელმწიფოების მიერ დროებითი სპეციალური ზომების მიღება, რომელთა მიზანია მამაკაცთა და ქალთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დაჩქარება არ ითვლება, როგორც ეს განსაზღვრულია ამ კონვენციით, დისკრიმინაციულად, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას. ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როცა

მიღწეული იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები''.

ამავე თვალსაზრისით აღსანიშნავია, ეუთოს მისიის (OSCE/ODIHR) მიერ საქართველოში 2010 წლის 30 მაისს გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების - საკრებულოების არჩევნების თაობაზე შემუშავებული საბოლოო რეკომენდაციები, რომლის 27-ე პუნქტის მიხედვით - ხელისუფლება უნდა დგამდეს აქტიურ ნაბიჯებს საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად გენდერული თანასწორობის ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი წარმომადგენლობა არჩეულ თანამდებობებზე.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებით განისაზღვროს ის დამატებითი სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს პარლამენტსა და ადგილობრივი თვითმმარველობის წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული დისბალანსის დაძლევა და შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდით პროპორციული წესით ასარჩევ ქალთა რაოდენობის გაზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტში გენდერული ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით დამატებითი ღონისძიებების განსაზღვრას. კერძოდ, კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს საარჩევნო კოდექსს ემატება ნორმა, რომლის მიხედვით, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით წარსადგენ პროპორციულ საარჩევნო სიებში პირველ ხუთ ათეულში კანდიდატს შორის არანაკლებ ყოველი მესამე კანდიდატი წარმოდგენილი იქნება განსხვავებული სქესის. ეს კი საქართველოს პარლამენტში უზრუნველყოფს მინიმუმ 23 განსხვავებული სქესის პარლამენტარის ყოლას.

ასევე, ადგილობრივი თვითმმარველობის წარმომადგენლობით ორგანოში - საკრებულოში პროპორციული წესით ასარჩევ ქალთა რაოდენობა გაიზრდება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს აუცილებელ ხარჯებს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულვალ დებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მარავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებულიკონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა: გენდერული თანასწორობის ქსელი; გენდერული სამართლიანობა; ქალთა საინფორმაციო ცენტრი; ქალთა განათლებისა და ინფორმაციის ცენტრი; ქალთა კავშირი; ადამიანის ჰარმონიული განვითარების საზოგადოება.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორი - თამაზ კრავეიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამეტის წევრი ნანა ყეინიშვილი